57 ჩ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

55 ს
59/417
1/2

1

იანვარი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა
19 თბილისი 57

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1679

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 7 დეკემბერი

კოჯრის სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

F. 2037

კოჯრის სკოლა-ინტერნატში არ არის შექმნილი სათანადო პირობები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ყოველმხრივ განვითარებული, განათლებული, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლების აღზრდა.

სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობამ (დირექტორი — ამხ. ტ. მგალობლიშვილი, დირექტორის მოადგილე — სასწავლო ნაწილის გამგე — ამხ. დ. ყიფიანი, უფროსი აღმზრდელი—ამხ. ნ. ურუშაძე) ვერ დარაზმა სკოლა-ინტერნატის მუშაკთა კოლექტივი არსებული სიძნელეების დასაძლევად და ბავშვთა სწავლა-აღზრდისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

ძალზე დაბალ დონეზე დგას აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეთა შორის. დღემდე გრძელდება სკოლა-ინტერნატიდან ბავშვების გაპარვისა და სასკოლო რეჟიმის დარღვევის შემთხვევები. სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობა კი დაუშვებლად უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენს ასეთი მოვლენებისადმი. მიმდინარე წლის 17 ნოემბერს, დილით, ორი გაკვეთილის შემდეგ სკოლა-ინტერნატიდან გაიპარა მე-4 კლასის მოსწავლე ს. ნაზარიანი (აღმზრდელები მერი ბაღდასაროვა და თამარ კულინიჩი). სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობამ, მსგავს შემთხვევებზე სამინისტროს მიერ მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, დანაშაულებრივი გულგრილობა გამოიჩინა ნაზარიანის ბავშვის მოძებნის საქმეში. 27 ნოემბრამდე ე. ი. 10 დღის განმავლობაში ამხ. მგალობლიშვილს თითქმის არავითარი ღონისძიება არ გაუტარებია ბავშვის მოსაძებნად. ამის შესახებ მშობლებს მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ გაუგზავნეს

წერილი. ბავშვის დაკარგვის შესახებ სამინისტროს მშობლებმა ა-
ნობეს. სამინისტროს ჩარევის შემდეგ მხოლოდ ა/წ 27 ნოემბერს
დაიგზავნა მიმართვები სათანადო ორგანოების სახელზე. ნაბრალისეული
ბავშვი ამჟამად ნაპოვნია.

ინტერნატში ადგილი აქვს აღსაზრდელთა მხრივ ამორალური საქციელის გამოვლინებებს, რაზედაც თავის დროზე არ ხდება სათანადო რეაგირება.

მოწოდების სიმაღლეზე არ დგას სკოლა-ინტერნატის ზოგიერთი აღმზრდელი.

აღმზრდელმა რ. თაყაიშვილმა შელახა თავისი ავტორიტეტი V კლასის მოსწავლე გოგონასთან უტაქტო მოქმედებით. ბავშვებთან თბილ დამოკიდებულებაში, რაც აღმზრდელს მოეთხოვება, მან სათანადო ზომა არ დაიცვა, რამაც მშობელთა კანონიერი უკმაყოფილება გამოიწვია, ბევრი მათგანის თვალში დაეცა არა მარტო აღმზრდელის, არამედ თვით დაწესებულების ავტორიტეტიც. ამ მხრივ ერთგვარი წინდაუხედაობა გამოიჩინა აღმზრდელმა გოცირიძემაც.

ბევრი აღმზრდელი თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას, ხოლო მათ მუშაობაზე არავითარ დახმარებასა და კონტროლს არ ახორციელებს უფროსი აღმზრდელი ამხ. ნ. ურუშაძე.

აღსაზრდელებისადმი გულგრილი და უხეში დამოკიდებულებით გამოირჩევიან აღმზრდელები: ნ. მინდაძე, გ. პოპიაშვილი და ლ. გრიგოლია.

სკოლა-ინტერნატში ანტისანიტარული მდგომარეობაა. მოუგვარებელია თეთრეულის რეცხვისა და თავის დროზე გამოცვლის, ყოველდღიურად ბავშვების ხელ-პირის დაბანის და დაწესებულ ვადებში აბანოში გატარების საქმე. ლოგინის თეთრეული დადგენილი ვადების დაუშვებელი დარღვევით იცვლება. აქ შემოღებულია თეთრეულის გამოცვლის სრულიად მიუღებელი პრაქტიკა. თეთრეულს ცვლიან არა ერთდროულად, არამედ ნაწილ-ნაწილ: დღეს ზეწარს, ერთი კვირის შემდეგ საბნის გამოსაკრავს და ა. შ. ამ პირობებში თეთრეულის გამოცვლას სრულიად ეკარგება აზრი. ზოგიერთ კორპუსში მცხოვრები ბავშვები $2^1/_2$ თვის განმავლობაში სისტემატურად არ იყენენ უზრუნველყოფილი ხელის საბანი საპნით, კბილის ფუნჯითა და ფხვნილით. აბანოში ბავშვების გატარებისას მოწესრიგებული არ არის უფროსების ზედამხედველობა. ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ ბავშვებს ტანსაცმელი ერევათ და ვერავინ გებულობს ვინ ვის ტანსაცმელს იცვამს. ასეთმა ანტისანიტა-

რულმა მდგომარეობამ გამოიწვია ბავშვების დატილიანების შემთხვევები. აგრეთვე მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, ანტისანიტარულ მდგომარეობაშია ეზო და საპირფარეშოები.

ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ამხ. ტ. მგალობლიშვილმა გამოიჩინა დაკისრებული მოვალეობისადმი კომუნისტისათვის შეუფერებელი დამოკიდებულება. მას ყოველგვარი ხელწერილის გარეშე პირადი სარგებლობისათვის აქვს საწყობიდან გატანილი 15 ზეწარი, 15 საბნის გამოსაკრავი, 11 ბალიშის პირი, 7 საბანი, ამდენივე ლეიბი, 5 ბალიში, 3 პირსახოცი, 7 ვედრო, ამდენივე ქვაბი, 24 წყვილი დანა-ჩანგალი, სამზარეულოს სხვადასხვა 18 ცალი ინვენტარი, ამათგან 8 ცალი მარტო სასალათე, 1 ცალი მაცივარი, ოჯახისათვის საჭირო ყველა სახის მაგარი ინვენტარი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სკოლა-ინტერნატისათვის შეძენილ ერთადერთ რადიომიმღებს („ბალტიკა") მგალობლიშვილი თავისთვის იყენებს. მგალობლიშვილის მიერ ამ წესით პირადი სარგებლობისათვის გატანილ ფასეულობათა ღირებულება 7.500 მანეთს შეადგენს.

ამხ. მგალობლიშვილმა თავისი ქალიშვილი, თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის 1 კურსის სტუდენტი მადინა მგალობლიშვილი, თვითნებურად დანიშნა ინგლისური ენის მასწავლებლად სკოლა-ინტერნატის V კლასში. მგალობლიშვილი მამას ჩაყენებული ჰყავს პრივილეგიურ მდგომარეობაში. იგი სამუშაოზე მასწავლებელთა ყოველდღიური გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალშიც კი არაა შეტანილი. მგალობლიშვილმა თავისი მეორე შვილი მე-3 კლასის მოსწავლე მავლინა მგალობლიშვილი სამინისტროს ბრძანების გარეშე ჩარიცხა სკოლა-ინტერნატში და ასარგებლებს აღსაზრდელის ყველა უფლებით.

სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობა სათანადო კონტროლს არ ახორციელებს დაწესებულების ქონების დაცვაზე.

აღსაზრდელებისათვის მიტანილი მამაკაცის 42 ნომერი ფეხსაცმელი საწყობის გამგე შ. მეუნარგიამ სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო ნაწილში ამხ. პაიჭაძეს შეუცვალა პატარა ნომრის ფეხსაცმელზე. ამჟამად საწყობშია ქალის ორი და მამაკაცის ერთი გაცვეთილი ფეხსაცმელი, რომლებიც აღსაზრდელებამდე არ მისულა და გაურკვეველია ვინ დაცვითა ისინი.

საწყობის გამგე მეუნარგიამ სახლში წაიღო სკოლა-ინტერნატის ჯუთვნილი 4 კუბომეტრი შეშა.

ფინანსიური მდგომარეობის შემოწმებით (უფროსი ბუხჰალტერი

ა. ჭოლაძე) დადგენილია, რომ აქ ადგილი აქვს სერიოზულ დარღვევებს სახელმწიფო სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწყობიდან უფაქტუროდაა გაცემული 87.800 მანეთის ბაგარი და რბილი ინვენტარი. კერძო ხელწერილებით და ხშირად უხელწერილოდ გაცემულია ათეულობით საბანი, ლეიბი, ბალიში, ზეწარი, სუფრა, სკამი, ჩაიდანი, ტაშტი, ტაფა, ვედრო და ქვაბი.

უკანონოდ აქვთ მიღებული სპეცტანსაცმელი (მოსასხამი, ჩექმა) მუშაკებს, რომელთაც ასეთი არ ეკუთვნის (დირექტორის თანაშემწე . სამნეო ნაწილში — ა. პაიჭაძე, კომენდანტი — ჩიქვილაძე, საწყობის გამგე—შ. მეუნარგია).

არავითარი მეთვალყურეობა არ ხორციელდება სასადილოს ინვენტარის მოვლა-დაცვაზე. ამით არის გამოწვეული ინვენტარის მეტად დიდი დანაკლისი. გაფორმებულია როგორც დამტვრეული 824 თეფში, 411 ლამბაქი, 769 ჭიქა, 557 ფინჯანი, 40 გრაფინი. დაკარგულად ითვლება 673 კოვზი და 93 დანა.

სამზარეულოს პროდუქტების გაცემა არ შეესაბამება აღსაზრდელთა ფაქტიურ რაოდენობას. ა/წლის 3,4 და 6 სექტემბერს სკოლა-ინტერნატში ფაქტიურად 327 ბავშვი ითვლებოდა, პროდუქტები კი ამ დღეებში გაცემულია 380 ბავშვზე. 12, 13, 14 და 15 სექტემბერს პროდუქტები გაცემულია 355 ბავშვზე იმ დროს, როდესაც სახეზე იყო მხოლოდ 320 ბავშვი ყოველდღიურად. ასეთი მდგომარეობა 1 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე 57 შემთხვევაში მეორდება.

ამ გზით ზედმეტად არის დახარჯული 6.000 მანეთამდე ღირებულების პროდუქტები.

ბავშვებზე გაცემული პურის ხარისხი არ ემთხვევა ფაქტურით გაფორმებულ პურის ხარისხს. 2 სექტემბერს ფული გადარიცხულია თეთრ პურზე (ერთი კგ ღირებულება 2 მან. და 75 კაპ.) სინამდვილეში მიღებულია მეორე ხარისხის პური (ერთი კგ ღირებულება 1 მან. 70 კაპ.) განსხვავება შეადგენს დღეში დაახლოებით 200 მანეთს. მარტო სექტემბერში ექვსი ასეთი შემთხვევაა. ეს მდგომარეობა გრძელდებოდა ოქტომბერსა და ნოემბერში. დაუდგენელია ვინ სარგებლობს ამ კომბინაციით.

სკოლა-ინტერნატის საწყობის გამგემ მეუნარგიამ ცეკავშირის კოჯრის ბაზიდან ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, აუწონლად მიიღო დიდძალი კარტოფილი, რომელიც მას გაფორმებული აქვს 8 ტონად. კარტოფილი 5 დღის განმავლობაში დაუცველად

ეყარა ეზოში, სადაც მას აწვიმდა და საიდანაც ყველას შეეძლო მისი წაღება.

ამხ. მგალობლიშვილი არ ახორციელებს საჭირო კონტროლს საზრდელთა კვებაზე. სავალდებულოა, რომ იგი ყოველდღიურად ამტკიცებდეს მენიუს,. მაგრამ 45 შემთხვევაში მენიუ მის მიერ არ არის დამტკიცებული. გარდა ამისა ექიმი მენიუს ხელს არ აწერს 57 შემთხვევაში, ხოლო 8 შემთხვევაში მენიუზე არც ერთი კაცის ხელმოწერა არაა, რაც ეჭვს ბადებს, რომ ბოროტმოქმედების მიზნით ამ დღეებში მენიუ შესცვალეს.

ამხ. მგალობლიშვილმა არაკანონიერი გზით შეაკეთა მსუბუქი ავტო-მანქანა და კერძო პირს გადაუხადა 3.600 მანეთი.

უკანონობის ყოველგვარ საზღვარს ცილდება აღმზრდელთა უფასო სახელმწიფო კვებაზე აყვანა, რასაც მგალობლიშვილის განკარგულებით კოჯრის სკოლა-ინტერნატში აქვს ადგილი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. კოჯრის სკოლა-ინტერნატის დირექტორი ამხ. ტ. ვ. მგალობლიშვილი სკოლა-ინტერნატის მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობის, დაკარგული ბავშვის მოსაძებნად საჭირო ზომების მიუღებლობის, სკოლა-ინტერნატის მასწავლებლის თანამდებობაზე განათლების ცენზით შეუფერებელი თავისი ქალიშვილის თვითნებურად დანიშვნის, სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელად მეორე შვილის უკანონოდ ჩარიცხვის, სახელმწიფო ქონების პირად სარგებლობაში უკანონო გზით გამოყენებისა და სერიოზული ფინანსური დარღვევებისათვის მოიხსნას თანამდებობიდან. დაევალოს მას დაუყოვნებლივ დააბრუნოს სკოლა-ინტერნატის მასზე რიცხული ქონება.

2. მიზანშეწონილად იქნას ცნობილი სკოლა-ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგის ამხ. დ. ყიფიანის თხოვნის დაკმაყოფილება სხვა სამუშაოზე მისი გადაყვანის შესახებ.

3. ინტერნატისა და საალმზრდელო ჯგუფების მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და დაკარგული ბავშვის მოსაძებნად საჭირო ზომების მიუღებლობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უფროს აღმზრდელს ამხ. ნ. ურუშაძეს.

4. დაკისრებული მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და აღსაზრდელების მიმართ ჩადენილი უხეშობისათვის გამოეცხადოს საყვედური აღმზრდელებს ნ. მინდაძეს და გ. ჰოპიაშვილს.

5. სკოლა-ინტერნატის აღმზრდელ მასწავლებლებთან, აღსაზრდელებთან და მშობლებთან ავტორიტეტის დაკარგვის გამო აღმზრდელ რ. თაყაიშვილის სამუშაოზე დატოვება ჩაითვალოს მიზანშეწონილად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმზრდელ რ. თაყაიშვილის საკითხი განსახილველად გადაეცეს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას.

6. აღსაზრდელებთან უტაქტო დამოკიდებულებისათვის აღმზრდელ გოცირიძეს მიეთითოს და დაკმაყოფილდეს მისი თხოვნა სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესახებ.

7. სკოლა-ინტერნატის სამეურნეო საქმიანობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანაშემწეს სამეურნეო ნაწილში ა. პაიჭაძეს გამოეცხადოს საყვედური.

8. სერიოზული ფინანსური დარღვევების დაშვებისათვის მოიხსნას თანამდებობიდან სკოლა-ინტერნატის უფროსი ბუხჰალტერი ა. ჭოლაძე.

9. სასაწყობო მეურნეობის ქაოტურ მდგომარეობამდე მიყვანისა, მატერიალურ ფასეულობათა განიავებისა და სკოლა-ინტერნატის 4 კუბომეტრი შეშის მითვისებისათვის საწყობის გამგე შ. მეუნარგია მოიხსნას თანამდებობიდან.

10. აღსაზრდელთა პურით მომარაგების, სამზარეულოზე ზედმეტი პროდუქტების გაცემის, საწყობიდან ფეხსაცმლისა და სპეცტანსაცმლის უკანონოდ გაცემის, სასადილოს ინვენტარის დიდი დანაკლისის და სხვა ბოროტმოქმედებათა საქმეში დამნაშავე პირების გამოსავლინებლად საგამომძიებლო ორგანოებისათვის მასალების გადაცემა დაევალოს სამინისტროს მთავარ ბუხჰალტერს ამხ. დ. ყარაშვილს და იურისკონსულტს ამხ. გ. შონიას.

11. მინისტრის მოადგილემ ამხ. თ. ზახაშვილმა სამი დღის ვადაში შეარჩიოს სკოლა-ინტერნატის განთავისუფლებულ თანამდებობებზე დასანიშნი კანდიდატები და წარმომიდგინოს დასამტკიცებლად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 3 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1680

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 8 დეკემბერი

ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის დირექტორ ა. ნ. მენთეშაშვილის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში შემოსულ მამხილებელ წერილში აღნიშნული მასალების შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის დირექტორი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მენთეშაშვილი ორი სასწავლო წელია არღვევს განათლების სამინისტროს მითითებას დირექტორის გაკვეთილებით დატვირთვის შესახებ. ნაცვლად 4—6 საათისა მიმდინარე სასწავლო წელს მას თერთმეტი გაკვეთილი აქვს, მაშინ, როდესაც სკოლიდან გაათავისუფლეს ისტორიის მასწავლებელი ს. ბეგიაშვილი, საათების უქონლობის გამო.

იმ მიზნით, რომ მიეღწია თავისი ცოლის ბ. რობიტაშვილის მაჩხაანის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგედ დანიშვნისათვის მან ამ სკოლის ბიბლიოთეკის გამგე ნ. ბზუკაშვილი აიძულა წასულიყო სამუშაოდან, ხოლო მის შემდეგ ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე არ დაუშვა სიღნაღის განათლების განყოფილებისა და ალკკ. რაიკომის მიერ გაგზავნილი ამხანაგი, მიუხედავად იმისა, რომ რობიტაშვილს არ გააჩნია არც სპეციალური საბიბლიოთეკო და არც სპეციალური საშუალო პედაგოგიური განათლება, ამხ. მენთეშაშვილმა იგი აიყვანა სკოლის ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე.

ამხ. ბ. რობიტაშვილი არ არის დაინტერესებული ბიბლიოთეკის მუშაობით, არ აწყობს მკითხველთა კონფერენციებს, მოსწავლეებთან არ ატარებს გამოსაუბრებას წაკითხული მასალის ირგვლივ, არ აქვს მოწყობილი პარტიის XX ყრილობის ამსახველი ლიტერატურის გამოფენა, გამოფენა ახალი ლიტერატურისა და სხვა. ამხ. რობიტა-

შვილის საქმიანობა მხოლოდ მოსწავლეებზე წიგნების გაცემის ამოიწურება, მან სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის რაოდენობაც კი არ იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის დირექტორი ამხ. მენთეშაშვილი იჩენს გადაჭარბებულ ადმინისტრირებას; საუბარსა და ურთიერთობაში უტაქტოა და მოუზომელი. იგი შემოწმების შემდეგ, მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს, ყოველგვარი ნებართვის გარეშე დარჩა ქ. თბილისში და გააცდინა ორი სამუშაო დღე.

სკოლის ბიბლიოთეკის გამგე ბ. რობიტაშვილი დაინტერესებული იყო რა შემოწმების შედეგების გაგებით, ჩამოვიდა ქ. თბილისში და გააცდინა 4 სამუშო დღე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების და სასწავლო ნაწილის გამგეების დატვირთვის შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1955 წლის 29 ივლისის № 1408 ბრძანების დარღვევისათვის, ბიბლიოთეკის გამგე ნ. ბზუკაშვილის სამუშაოდან უსაფუძვლოდ განთავისუფლებისათვის და ისტორიის მასწავლებელ ს. ბეგიაშვილის განთავისუფლების ხელისშეწყობისათვის, სკოლის პედკოლექტივთან თვითნებობისა და უტაქტობისათვის ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის დირექტორს ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მენთეშაშვილს გამოეცხადოს საყვედური.

2. დაევალოს სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. შოშიაშვილს გაათავისუფლოს ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე ბ. რობიტაშვილი, როგორც ამ საქმისათვის შეუფერებელი.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჯულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1693

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 11 დეკემბერი

რუსულ დაწყებით, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 26 ნოემბრის № 6911-P განკარგულებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 დეკემბრის № 693 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ იმ სკოლებში, სადაც სწავლობენ არაქართველი მკვიდრი მოსახლეობის შვილები და სადაც სწავლება მიმდინარეობს რუსულ ენაზე, 1957 წლის იანვრიდან შემოღებულ იქნეს ქართული ენის სავალდებულო სწავლება.

ქართული ენის სავალდებულო სწავლებიდან განთავისუფლდნენ მხოლოდ სხვა რესპუბლიკებიდან დროებით ჩამოსული არაქართველი მოსწავლეები.

იმ მოსწავლეებს, რომლებიც აქამდე არ სწავლობდნენ ქართულ ენას, შეფასებისას მოეთხოვებათ არა მოცემული კლასის პროგრამით გათვალისწინებული, არამედ მათთან ფაქტიურად გავლილი მასალის ცოდნა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ბ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 1693

ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 декабря 1956 г.

о введении обязательного изучения грузинского языка в русских начальных, семилетних и средних школах Грузинской ССР

В соответствии с распоряжением Совета Министров Союза ССР от 26 ноября 1956 года за № 6911-р и Постановлением Совета Министров Грузинской ССР от 4 декабря 1956 года за № 693, с января 1957 г. ввести обязательное изучение грузинского языка в тех школах, где обучаются дети коренного населения—негрузины и где обучение ведётся на русском языке.

От обязательного изучения грузинского языка освобождать только учащихся негрузин, временно прибывающих из других республик.

От учащихся, которые до сих пор не изучали грузинского языка, при аттестации требовать знание фактически пройденного с ними материала, а не программного материала данного класса.

Министр просвещения
Грузинской ССР **Г. Н. Джибладзе**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1695

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

11 დეკემბერი 1956 წელი თბილისი

1956 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს სსრ სკოლებისა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებების მონაწილეობის შედეგებისა და 1957 წლის გამოფენაში მონაწილეობის ღონისძიებათა შესახებ.

აღვნიშნავ, რომ 1956 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე სკოლების, სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებების, ნორჩი ტექნიკოსებისა და ნორჩი ნატურალისტების რიცხვი გაიზარდა.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის მიერ 1953 წლის მაჩვენებლებით 1954 წლის გამოფენის მონაწილედ დამტკიცებული იყო 82 კანდიდატი, 1954 წლის მაჩვენებლებით 1955 წლის გამოფენის მონაწილედ—336 კანდიდატი, ხოლო 1955 წლის მაჩვენებლების მიხედვით 1956 წლის გამოფენის მონაწილედ — 352 კანდიდატი.

1956 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის სკოლები განსაკუთრებით კარგად მოამზადეს თელავის, გორის, ცხაკაიას, მცხეთის, ჩოხატაურისა და ორჯონიკიძის რაიონების განათლების განყოფილებებმა.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ დამტკიცებული იყო თელავის რაიონის ფშავლის საშუალო სკოლა (დირექტორი გ. როსტომოვი), ცხაკაიას რაიონის კოტიანეთის 7-წლიანი სკოლა (დირექტორი ი. მიქაძე), ორჯონიკიძის რაიონის ვახანის საშუალო სკოლა (დირექტორი ა. არევაძე), ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური (დირექტორი გ. ეპიტაშვილი), მახარაძის

საბავშვო სახლი (დირექტორი უ. ჭეიშვილი); ნორჩ ნატურალისტთა წრეები: თელავის რაიონის ვანთის საშუალო და კონდოლის შვიდწლიანი სკოლებიდან (ხელმძღვანელები დ. კბილაშვილი, ს. გალახვარიძე), ახალციხის რაიონის კლდის შვიდწლიანი სკოლიდან (ხელმძღვანელი ქ. კოპაძე), გორის რაიონის მეჯვრისხევის, გომის და ქვეშის საშუალო სკოლებიდან (ხელმძღვანელები ს. ბერიშვილი, კ. სამნიაშვილი, ს. გამდლიშვილი), ტყიბულის რაიონის გელათის შვიდწლიანი სკოლიდან (ხელმძღვანელი ალ. ელიაშვილი), მახარაძის რაიონის ვაკისჯვრის საშუალო სკოლიდან (ხელმძღვანელი ა. მდინარაძე), ქ. თბილისის 102-ე შვიდწლიანი სკოლიდან (ხელმძღვანელი შ. გელაშვილი) სამტრედიის პიონერთა სახლის ნორჩ ელექტრო ტექნიკოსთა წრე (ხელმძღვანელი ა. ბაღდავაძე) და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოფენის მონაწილედ დამტკიცებული იყვნენ აგრეთვე ცალკეული მოსწავლეები ახმეტის, სიღნაღის, წითელწყაროს, კაჭრეთის, საგარეჯოს, ხაშურის, დუშეთის, ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ლანჩხუთის, მახარაძის, ხობისა და ზუგდიდის რაიონების სკოლებიდან და ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურიდან.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის ნორჩ ნატურალისტთა პავილიონში ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკურ სადგურს დათმობილი ჰქონდა სპეციალური სტენდი.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სკოლებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების მზადებამ ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა გამოვლინებამ დიდად შეუწყო ხელი მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებას და სკოლებში პოლიტექნიკური განათლების ელემენტების დანერგვას.

გაიზარდა ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა წრეებისა და წრეში ჩაბმულ მოსწავლეთა რაოდენობა.

ზემოაღნიშნული წარმატებების მიუხედავად ბევრმა სკოლამ და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებამ სათანადო მუშაობა არ ჩაატარა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადებასთან დაკავშირებით. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან არც ერთ სკოლას, მოსწავლეს და მასწავლებელს არ მიუღია მონაწილეობა გამოფენაში. აჭარის ასს რესპუბლიკიდან 1956 წლის გამო-

ფენის მონაწილე იყო მხოლოდ სამი ნორჩი ნატურალისტი, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან ხუთი ნორჩი ნატურალისტი და ნორჩი ტექნიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის საბავშვო სახლებიდან მხოლოდ ერთი — საბავშვო სახლი იყო დამტკიცებული 1956 წლის გამოფენის მონაწილედ.

სრულებით არ მიუღიათ მონაწილეობა 1956 წლის საკ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ქ. თბილისისა და ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებს, სოხუმის, ბათუმის და გორის პიონერთა სახლებსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებს, თელავის, ზუგდიდის, მახარაძის, ბორჯომის, ლანჩხუთის, გურჯაანის, საგარეჯოს რაიონების პიონერთა სახლებს, ჭიათურის, გორის, თბილისის საქალაქო ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებს.

რესპუბლიკის ბევრ სკოლაში ჯერ კიდევ ცუდად არის დაყენებული ნორჩ ნატურალისტთა შორის მუშაობა, განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ ნორჩ ტექნიკოსთა წრეები სკოლებსა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებში. წრეები არ არიან უზრუნველყოფილი ტექნიკური ხასიათის სასწავლო ხელსაწყოებითა და მასალებით, არ არის დაყვანილი ყველა სკოლასა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებამდე საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დებულება.

რიგი განათლების განყოფილებები და სკოლის დირექტორები არასერიოზულად ეკიდებიან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატების მასალების გაფორმების საქმეს და ზოგჯერ ადგილობრივი რაისაბჭოს აღმასკომების გადაწყვეტილების გარეშე გზავნიან მასალებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სკოლისგარეშე დაწესებულებათა და საბავშვო სახლების დირექტორებმა კომკავშირის სათანადო კომიტეტებთან შეთანხმებით:

ა) დაიყვანონ ყველა სკოლამდე, სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებამდე და ბიოლოგიის მასწავლებლებამდე სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილება გამოფენისათვის კანდიდატების შერჩევის, მაჩვენებლებისა და პირობების შესახებ;

ბ) უზრუნველყონ 1957 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის შერჩეული კანდიდატების მასალების სათანადო წესის დაცვით გაფორმება, მასალების ადგილობრივ რაისაბჭოს აღმასკომების სხდომებზე განხილვა და დაწესებულ ვადებში წარმოდგენა.

2. ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურმა (ამხ. შ. მანგიაშვილი) და ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა (ამხ. გ. ეპიტაშვილი) სადგურებმა პრაქტიკული დახმარება აღმოაჩინონ სკოლებს, პიონერთა სახლებსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობასთან დაკავშირებული სამუშაოების პრაქტიკულად განხორციელების საქმეში.

3. საგეგმო საფინანსო-სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) უზრუნველყოს 1957 წლის 1 კვარტალში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დოკუმენტების, ექსპონატების გაგზავნისა და გამოფენის მონაწილეთა გასაგზავნი ხარჯების დაფინანსება.

4. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) ცენტრალიზებული წესით მიაწოდოს სკოლებსა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებს ტექნიკური წრეებისათვის საჭირო სასწავლო მასალები და მოწყობილობანი.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) განახორციელოს ოპერატიული ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლების, სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობაზე ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა წრეების საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი გ. ჯიბლაძე

F-2037.

ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯაფარიძე
1956 წლის 21/XII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲓᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ

ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ, ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲔᲑ

1. სასკოლო ბიბლიოთეკის ამოცანები

სასკოლო ბიბლიოთეკა იქმნება თითოეულ დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლასთან.

სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობა ექვემდებარება სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითს ამოცანებს.

სასკოლო ბიბლიოთეკა დახმარებას უწევს მასწავლებლებს სასწავლო პროგრამების წარმატებით გავლის მიზნით მოსწავლეთა კითხვის ორგანიზაციის საქმეში; ხელს უწყობს მოსწავლეთა გონებრივ განვითარებას, მათ მიერ გაკვეთილებზე შეძენილი ცოდნის გაღრმავებას, მათში მაღალ მორალურ თვისებათა და ესთეტიკურ გრძნობათა აღზრდას; აჩვევს მოსწავლეებს წიგნით დამოუკიდებლად სარგებლობას, აყვარებს მათ წიგნს და უვითარებს მისდამი ფრთხილი მოპყრობის ჩვევას.

II. სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობა

1. სასკოლო ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ დამტკიცებული განრიგით.

სასკოლო ბიბლიოთეკას აქვს ნახევარწლიური სამუშაო გეგმა, რომელსაც იხილავს პედაგოგიური საბჭო და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

სამუშაო გეგმა ითვალისწინებს: აბონემენტზე მუშაობას, მუშაობას სამკითხველოში, მუშაობას აქტივთან, მშობლებთან და მასობრივ მუშაობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ შვიდწლიან და საშუალო სკოლებში, სადაც

ბინის უქონლობის გამო უმცროსი ასაკის ბავშვთათვის ცალკე ბიბლიოთეკის გამოყოფა არ შეიძლება, უნდა გამოიყოს სპეციალური დღეები ან საათები I—IV კლასების მოსწავლეთათვის წიგნების გასაცემად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ბიბლიოთეკის მუშაობაში შედის:

ა) წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების გაცემა; მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის ახლადშემოსული ლიტერატურის გაცნობა;

ბ) მოსწავლეთა კითხვისადმი ხელმძღვანელობა: მკითხველთა ინტერესის შესწავლა; წაკითხულის შესახებ საუბრების ჩატარება, წიგნით დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევის აღზრდა; მოსწავლეებისათვის დახმარება ლექსიკონებითა და ცნობარებით სარგებლობაში, წერითი და სხვა სამუშაოებისათვის ლიტერატურის შერჩევაში; დახმარება წრეების მუშაობაში; ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლეებთან; მოსწავლეთათვის ბიბლიოთეკის მნიშვნელობისა და ორგანიზაციის, წიგნით სარგებლობისა და წიგნის ფაქიზად ხმარების წესების გაცნობა;

გ) წიგნების პროპაგანდა, წიგნების, სარეკომენდაციო პლაკატების, სიების, ალბომებისა და თვალსაჩინო პროპაგანდისა და ინფორმაციის სხვა სახეების გამოფენის გზით;

დ) მასობრივი მუშაობა წიგნებით, გაზეთებითა და ჟურნალებით (წიგნის ხმამაღალი კითხვის, თხრობის, ლექციების, მკითხველთა კონფერენციების, ლიტერატურული დილა-საღამოების ორგანიზაცია, ახალი მკითხველების მოზიდვა და სხვა);

ე) მოწინავე, კითხვისმოყვარულ მოსწავლეთაგან აქტივის ჩამოყალიბება იმ მიზნით, რათა დახმარება გაუწიოს ბიბლიოთეკის მუშაკს მოსწავლეთათვის წიგნის შერჩევისა და გაცემის საქმეში, და აგრეთვე მოსწავლეების მიერ წიგნის დროზე დაბრუნებისა და წიგნის ფაქიზად ხმარების თვალყურის დევნებაში;

ვ) მოსწავლეთა მშობლებისათვის მოხსენებებისა და კონსულტაციების მოწყობა ბავშვთა კლასგარეშე კითხვის საკითხებზე, ცალკე კლასების მიხედვით რეკომენდებული ლიტერატურის მიმოხილვა და სხვ.

3. სასკოლო ბიბლიოთეკები რაიონულ და საქალაქო ბიბლიოთეკებთან კონტაქტში მუშაობენ.

III. ბიბლიოთეკარის უფლება და მოვალეობა

1. ბიბლიოთეკარის თანამდებობა შვიდწლიან და საშუალო სკოლაში მტკიცდება სკოლების ტიპობრივი შტატების შესაბამისად.

დაწყებით სკოლაში და აგრეთვე იმ შვიდწლიან სკოლაში, სადაც ათამდე კლასკომპლექტია, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ეკისრება ერთ-ერთ მასწავლებელს, ერთი წლის ვადით.

2. შვიდწლიან და საშუალო სკოლაში ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე ინიშნებიან პედაგოგიური ან საბიბლიოთეკო განათლების და საბიბლიოთეკო მუშაობის გამოცდილების მქონე პირები.

3. ბიბლიოთეკარის მოვალეობას შეადგენს:

ა) მასწავლებლებთან ერთად წიგნების სისტემატურ კითხვაში მოსწავლეების ჩაბმა;

დაეხმაროს თითოეულ მათგანს მისი ასაკისა და მოთხოვნილების მიხედვით აუცილებელი ლიტერატურის შერჩევაში და ამ მუშაობაში იხელმძღვანელოს მასწავლებელთა მითითებით და თავისი საკუთარი დაკვირვებებით;

ბ) ბიბლიოთეკის ფუნქციებითა და მუშაობის შინაარსით განსაზღვრული ყველა ღონისძიების განხორციელება;

გ) საპროგრამო მასალის გათვალისწინებით და ცოდნის ყველა დარგში სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის საფუძველზე სასკოლო ბიბლიოთეკის დაკომპლექტება;

დ) თვალყურის დევნება ახლად გამოსულ ლიტერატურაზე და კლასის ხელმძღვანელების, მასწავლებლებისა და პიონერხელმძღვანელებისათვის მათი გაცნობა;

ე) მოძველებული ლიტერატურიდან ბიბლიოთეკის გაწმენდის მიზნით წიგნადი ფონდის რეგულარული შემოწმება;

ვ) მიმდინარე მუშაობის წარმოება, წიგნის, ჟურნალისა და გაზეთის სახლში ან სამკითხველო დარბაზში წასაკითხად გაცემა და წიგნებისადმი წესიერად მოპყრობაზე თვალყურის დევნება.

4) ბიბლიოთეკარი მუშაობას აწარმოებს სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ დამტკიცებული გეგმით, მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების დახმარებით, სკოლის პიონერთა და კომკავშირის ორგანიზაციაზე დაყრდნობით.

5. ბიბლიოთეკარი ემორჩილება სკოლის დირექტორს.

6. ბიბლიოთეკარი ითვლება პედაგოგიური საბჭოს წევრად.

7. ბიბლიოთეკარი სასკოლო ბიბლიოთეკას აკომპლექტებს სკოლაში ამ დანიშნულებისათვის გამოყოფილ ასიგნობათა შესაბამისად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წიგნის მაღაზიიდან შემოსული წიგნები უნდა გატარდეს სათანადო დანართის მიხედვით; წიგნების უდანაკარგოდ შემოსვლის შემთხვევაში (მაგალითად, თუ წიგნები შეგროვილია მოსწავლეებში, მოსახლეობაში) ბიბლიოთეკარი ვალდებულია შეადგინოს აქტი შემოსული წიგნების დასახელებით.

8. ბიბლიოთეკარი მატერიალურად აგებს პასუხს ბიბლიოთეკის ქონებისა და წიგნების დაცვაზე; მან სრულ წესრიგში უნდა იქონიოს მთელი საბიბლიოთეკო მეურნეობა, აწარმოოს წიგნადი ფონდის აღრიცხვა საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის მიხედვით, შეადგინოს კატალოგი, ჩაატაროს ბიბლიოთეკის ინვენტარიზაცია, აწარმოოს საბიბლიოთეკო სტატისტიკა დადგენილი ფორმის მიხედვით.

9. ბიბლიოთეკარი ადგენს ანგარიშს ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ, რაც სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საერთო ანგარიშში შედის.

10. ბიბლიოთეკარის შრომის ანაზღაურება ხდება კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

იმ სკოლებში, სადაც ბიბლიოთეკარის თანამდებობა შტატით არ არის გათვალისწინებული, მასწავლებელს საბიბლიოთეკო მუშაობის წარმოებისათვის ეძლევა თვეში 75 მანეთი იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში 160-ზე მეტი მოსწავლეა და ბიბლიოთეკაში არა ნაკლები 750 წიგნისა.

IV. ბიბლიოთეკის შენობა და მოწყობილობა

1. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია სასკოლო ბიბლიოთეკისათვის გამოჰყოს შესაფერისი, იზოლირებული ბინა წიგნების შენახვისა და გაცემის არსებული პირობების შესაბამისად და ცალკე ოთახი სამკითხველოსათვის.

სკოლაში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა და ბიბლიოთეკისათვის სპეციალური ბინა არაა, წიგნები დაცული უნდა იქნას სათანადოდ დაკეტილ კარადაში.

2. თითოეულ ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს მოწყობილობის მინიმუმი: წიგნების კარადები ან თაროები, სამუშაო მაგიდები, სკამები წიგნის გასაცემი მაგიდები, საგამოფენო თაროები და ვიტრინები, საკატალოგო და მკითხველთა ფორმულარების ჩასაწყობი ყუთები.

3) ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი უნდა იყოს საბიბლიოთეკო ტექნიკის ყველა აუცილებელი მასალით: საინვენტარო წიგნით, საკატალოგო ბარათებით, მკითხველთა ფორმულარებით, სტატისტიკური ანგარიშის ბლანკებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საერთო პასუხისმგებლობა ბიბლიოთეკის მთელ მუშაობაზე, წიგნადი ფონდის დაცვაზე, სახსრების დროულად გამოყოფაზე, ბიბლიოთეკის დაკომპლექტებაზე, საბიბლიოთეკო მეურნეობის (წიგნადი ფონდის ინვენტარი, კატალოგი და სხვ.) სწორად წარმოებაზე ეკისრება სკოლის დირექტორს (გამგეს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1750

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 22 დეკემბერი

საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, საყოველთაო სწავლების განხორციელების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. არადამაკმაყოფილებლად არის შესრულებული სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ჩაბმის გეგმა. რესპუბლიკის სკოლებში მიმდინარე სასწავლო წელს გეგმით ჩაბმული უნდა ყოფილიყო 675225 ბავშვი და მოზარდი, ფაქტიურად კი ჩაბმულია 645369 (96,6%). სწავლებაში არაა ჩაბმული აჭარის ასს რესპუბლიკაში 2555 ბავშვი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 1562, დმანისის რაიონში — 799, ყაზბეგის — 193, ზესტაფონის — 961, დუშეთის — 663, ამბროლაურის — 469, მარნეულის — 908, ლაგოდეხის — 796, თეთრიწყაროს — 628, თიანეთის — 292, ბოლნისის — 596, ბოგდანოვკის — 463, წალენჯიხის — 326, ქარელის — 528, გურჯაანის — 490.

არაა უზრუნველყოფილი IV, VII და VIII კლასდამთავრებულთა შემდგომ კლასებში ჩაბმა. V კლასში გეგმით ჩასაბმელ 50780 მოსწავლის ნაცვლად სწავლობს 46622 მოსწავლე. არ გაუგრძელებია სწავლა ქ. თბილისის სკოლების V კლასში — 519, ბოლნისის რაიონის — 108, დმანისის — 70, ზესტაფონის — 119, ქარელის — 79, ლაგოდეხის — 69, მარნეულის — 125, თეთრიწყაროს — 155 მოსწავლეს.

VII კლასში ჩასაბმელი 51567 მოსწავლის ნაცვლად ჩაბმულია მხოლოდ 45355. VIII კლასში სწავლა არ გაუგრძელებია აჭარის ასსრ სკოლებში — 438, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის — 324, ქ. თბილისის — 679, ამბროლაურის — 65, ბოგდანოვკის — 65, ბოლნისის — 56, გურჯაანის — 163, დმანისის — 257, დუშეთის — 177, ზეს-

ტაფონის — 261, ყვარლის — 81, ლაგოდეხის — 139, მარნეულის — 112, თეთრიწყაროს — 114 მოსწავლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმით IX კლასში მიმდინარე სასწავლო წელს უნდა ეარსებულიყო 52,286 მოსწავლეს, ფაქტიურად კი სწავლობს 47,193. IX კლასში სწავლა არ გაუგრძელებია აჭარის ასს რესპუბლიკის სკოლებში, — 298, სამხრეთ ოსეთის ა/ ოლქის — 199, ქ. თბილისის — 435, ამბროლაურის — 118, ბოლნისის — 74, გურჯაანის — 137, დმანისის — 178, დუშეთის — 142, ზესტაფონის — 154, და მარნეულის — 126 მოსწავლეს.

1955 — 56 სასწავლო წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით რესპუბლიკის სკოლებს ჩამოსცილდა 9813 მოსწავლე, ამათგან ქ. თბილისში — 1257, ქარელის რაიონში — 321, გურჯაანის რაიონში — 243, დმანისის — 207, ყვარლის — 66 მოსწავლე. ოქტომბერში ჩატარებული შემოწმების შედეგად ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის მხოლოდ 3 სკოლიდან განთესილი აღმოჩნდა 35 მოსწავლე, ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სკოლებიდან — 64 მოსწავლე.

აღმზრდელობითი მუშაობის არასათანადო სიმაღლაზე დაყენების გამო 1955 — 56 სასწავლო წლის განმავლობაში ქ. თბილისის სკოლებიდან გაირიცხა 171 მოსწავლე, ამათგან მარტო თბილისის გარეუბნის რაიონის სკოლებიდან — 105, კალინინის რაიონის სკოლებიდან — 32; ქარელის რაიონის — 107, ყვარლის — 69, დმანისის — 43 და მცხეთის რაიონის სკოლებიდან 15 მოსწავლე.

არ არის შესრულებული აგრეთვე სასკოლო ინტერნატებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა. 1956 — 57 სასწავლო წლისათვის 140 სასკოლო ინტერნატში უნდა ყოფილიყო — 6000 მოსწავლე, ფაქტიურად არის — 5636. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში უნდა ყოფილიყო 6 სასკოლო ინტერნატი 290 მოსწავლით, ფაქტიურად არის 4 ინტერნატი — 103 მოსწავლით, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის 13 სასკოლო ინტერნატში — 855 მოსწავლის ნაცვლად არის 743, თეთრი წყაროს რაიონის 8 სასკოლო ინტერნატში — 437 მოსწავლის ნაცვლად — 264, გორის რაიონის 3 სასკოლო ინტერნატში — 105-ის ნაცვლად 68 და სხვ.

განათლების ადგილობრივი ორგანოები არ ღებულობენ გადამჭრელ ზომებს არასაპატიო მიზეზით მოსწავლეთა განთესვის აღმოსაფხვრელად და სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის შესრულების უზრუნველსაყოფად.

რიგ რაიონებსა და ქალაქებში ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ზუსტად აღრიცხვის საქმე; არ ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1943 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული ინსტრუქციით „სასკოლო ასაკის (7 — 17 წლამდე) ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო — სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ“; ვერ მიაღწიეს იმას, რომ მიიღონ სასოფლო და სადაბო საბჭოების, აგრეთვე სახლმმართველობების მიერ შედგენილი სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი სიები და ვერ უზრუნველჰყვეს საყოველთაო სწავლების განხორციელების საქმეში ფართო აქტივის ჩაბმა.

სკოლების ხელმძღვანელები არ იბრძვიან მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად და არ იცავენ მოსწავლეთა მოძრაობისა და ერთიდან მეორე სკოლაში გადასვლის შესახებ დადგენილ წესს; ნაკლებად ზრუნავენ მოსწავლეთა მაღალი წარმატებისათვის და არ ატარებენ ქმედით ღონისძიებებს მოსწავლეთა მეორეწლიანობის წინააღმდეგ. რიგ სკოლაში არ არის დადგენილი დაბალი წარმატების, საგაზაფხულო დავალება და საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებზე დახმარება. ამის შედეგადაც 1956 — 57 სასწავლო წლის 5 სექტემბრის მდგომარეობის მიხედვით 77.900 მეორეწლიანი მოსწავლიდან კურსის განმეორებით გასავლელად გამოცხადდა მხოლოდ 63839 მოსწავლე, ე. ი. 14,061 მოსწავლით ნაკლები. მეორეწლიან მოსწავლეთაგან კურსის განმეორებით გასავლელად არ გამოცხადებულა: აჭარის ასს რესპუბლიკის სკოლებში — 1077, სამხრეთ ოსეთის ა/ ოლქის — 627, ქ. თბილისის — 1681, ბოგდანოვკის — 149, ბოლნისის — 261, გურჯაანის — 159, დმანისის — 225, დუშეთის — 248, ზესტაფონის —197, ქარელის — 265, ლაგოდეხის — 229, მარნეულის — 229 და თიანეთის რაიონის სკოლებში — 127 მოსწავლე.

„საქართველოს სს რესპუბლიკაში საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 დეკემბრის დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. გადამჭრელი ზომები მიიღონ ცალკეული სკოლებისა და კლასების მიხედვით სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის დასადგენად, მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული ინსტრუქციით „სასკოლო ასაკის (7 — 17 წლამდე) ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის ორგანიზაციისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესის შესახებ“ და არ დაუშვან მომავალში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობა.

2. უახლოეს დროში დაამთავრონ შემოწმება სკოლებში საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობისა, ზუსტად გამოარკვიონ მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები, დაადგინონ I, V, VIII და IX კლასებში მისაღებ მოსწავლეთა გეგმის შესრულებისა და მიღებულ მოსწავლეთა შენარჩუნების მდგომარეობა, შემოწმების შედეგები წარუდგინონ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასკომებს საჭირო ზომების მისაღებად, ხოლო წერილობით მოახსენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 28 ნოემბრის № 3—1328 მიმართვით გათვალისწინებულ ვადებში.

3. განათლების მუშაკთა პროფკავშირის სათანადო ორგანოებთან ერთად, პერიოდულად განიხილონ ეს საკითხი განათლების სამინისტროების კოლეგიისა და განათლების საბჭოების სხდომებზე, მოისმინონ ცალკეული სკოლების დირექტორების ანგარიში და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების უზრუნველსაყოფად დასახონ ქმედითი ღონისძიებები.

4. გულდასმით შეამოწმონ საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ სკოლების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მასალები და სათანადო სასჯელი დაადონ სკოლების დირექტორებს, რომლებსაც არაზუსტი ცნობების წარმოდგენით შეცდომაში შეყავთ ხელმძღვანელი ორგანოები.

5. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების საქმეს, განამტკიცონ სასწავლო-მატერიალური ბაზა, გააძლიერონ ხელმძღვანელობა — კონტროლი სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაზე, აგრეთვე საჭირო ზომები მიიღონ მოსწავლეთა მეორეწლიანობის სალიკვიდაციოდ.

6. აამაღლონ სკოლების დირექტორების (გამგეების) პასუხისმგებლობა იმ მიზნით, რომ მათ:

ა) საკომლო, საბინაო დავთრების და მილიციის ორგანოების ჩანაწერების სასკოლო დოკუმენტებთან შედარებით 1957 წლის 15 აპრილისათვის დააზუსტონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სიები, სწავლებაში ჩაბმულთათვის სკოლებისა და ჩაუბმელთათვის სათანადო მიზეზების ჩვენებით, უზრუნველყონ სკოლისგარეშე დარჩენილ ბავშვთა სწავლებაში ჩაბმა და არსებული კონტინგენტის შენარჩუნება;

ბ) აკრძალონ მოსწავლეთა ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა განათლების განყოფილების წერილობითი ნებართვის გარეშე.

გ) ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ ცალკეული საგნების მასწავლებლებს მეთოდური დახელოვნებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში;

დ) გააუმჯობესონ დაბალი წარმატების, აგრეთვე საზაფხულო დავალებამიცემულ და საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებთან მუშაობა, მშობლებთან ერთად დასახონ და გაატარონ საჭირო ღონისძიებები მოსწავლეთა მეორეწლიანობის აღმოსაფხვრელად.

7. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ VII კლასდამთავრებულ მოსწავლეთა შემდეგ კლასებში ან სპეციალურ სასწავლებლებში ჩაბმას; უზრუნველჰყონ კლასების მიხედვით მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულება და შენარჩუნება.

8. აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, გორისა და თეთრიწყაროს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველჰყონ სასკოლო ინტერნატების ქსელისა და მასში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულება.

9. სკოლის ასაკის ბავშვთა სწავლებაში ჩაბმის სახალხო-სამეურნეო გეგმის შეუსრულებლობისა და სკოლებში საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოთ: დმანისის, მარნეულის, ლაგოდეხის, თეთრიწყაროს განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. ვ. ვ. ასათიანს, შ. მ. მამედოვს, გ. ა. წიქარიშვილს და ა. ე. ჟღენტს.

10. საყოველთაო სწავლების კანონის გატარებისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის გაფრთხილებულ იქნან: ამბროლაურის, ბოლნისის, წალენჯიხის, ქარელისა და გურჯაანის განათლების განყოფილებათა გამგეები ამხ. ამხ. ა. პ. ზალკალიანი, გ. თ. ერაძე, ვ. ი. ბელქანია, ბ. ი. დაბრუნდაშვილი და ა. ე. ქავთარაძე.

11. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) 1957 წლის პირველ კვარტალში შეისწავლოს ორ რაიონში საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობა და საკითხი განსახილველად წარმოადგინოს კოლეგიის სხდომაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 17 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1773

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 27 დეკემბერი

თბილისის სკოლების ნორჩ მათემატიკოსთა IV ოლიმპიადის შედეგებისა და პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

გავეცანი რა ნორჩ მათემატიკოსთა IV საქალაქო ოლიმპიადის შედეგებს აღვნიშნავ, რომ 1955 — 56 სასწავლო წელს ჩატარებულმა ნორჩ მათემატიკოსთა IV საქალაქო ოლიმპიადამ ხელი შეუწყო მოსწავლე-ახალგაზრდობის მათემატიკური კულტურის ამაღლებას, სკოლებში მათემატიკის სწავლების გაუმჯობესებას, საგნის ღრმად შესწავლისადმი ინტერესის გაძლიერებას და სასკოლო წრეების მუშაობის გამოცოცხლებას.

IV საქალაქო ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო თბილისის 88 საშუალო და ერთი შვიდწლიანი სკოლის 1579 მოსწავლემ. პირველ ტურში მონაწილეობდა 1579 მოსწავლე, მეორე დასკვნით ტურში კი 390 მოსწავლე.

ქ. თბილისის სკოლების ნორჩ მათემატიკოსთა ოთხი ოლიმპიადის გამოცდილება და ამ ოლიმპიადების დადებითი შედეგები საფუძველს იძლევა აღნიშნული ღონისძიება ამიერიდან ტარდებოდეს არა მარტო თბილისის, არამედ რესპუბლიკის მასშტაბით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. 1956/57 სასწავლო წელს ჩატარდეს ნორჩ მათემატიკოსთა პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადა რესპუბლიკის ქალაქებში: თბილისში, ქუთაისსა, სუხუმსა, ბათუმსა, სტალინირსა, ფოთსა, რუსთავსა, თელავსა, ჭიათურასა, გორსა, ზესტაფონსა, ტყიბულსა და ტყვარჩელში.

II. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბ-
ლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. პროფ. ვლ. ჭ ე ლ ი ძ ე (თავმჯდომარე);
2. პროფ. ა. ხ ა რ ა ძ ე;
3. გრ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მათემატიკის კაბინეტის გამგე (თავმჯდომარის მოადგილე);
4. ს. გ ა მ რ ე კ ე ლ ი (საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი სკოლის დარგში);
5. შ. ბ ე რ ი ა ნ ი ძ ე (პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი);
6. პროფ. გ. ჭ ო ღ ო შ ვ ი ლ ი;
7. კ. ზ ე რ ა გ ი ა (სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი);
8. მ. ბ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი (განათლების სამინისტროს ინსპექტორი);
9. ტ. ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე (განათლების სამინისტროს მეთოდისტი);
10. შ. ი ა შ ვ ი ლ ი (პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი);
11. გრ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე (თბილისის განათლების განყოფილების პედკაბინეტის მეთოდისტი);
12. ი. შ ტ ე ი ნ ბ ე რ გ ი (მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი);
13. ნ. კ ი კ ვ ა ძ ე (ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი);
14. ნ. ძ ი გ ა ვ ა (ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი);
15. ს. ს ა ლ ი ბ ე გ ო ვ ი (ქ. თბილისის მე-100 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი);
16. ი. მ ე ც ხ ვ ა რ ი შ ვ ი ლ ი (პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი);

III. ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა:

ა) მოსწავლეთა საზამთრო არდადეგების პერიოდში მოაწყოს ერთდღიანი რესპუბლიკური საინსტრუქტაჟო თათბირი, რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების საკითხებთან დაკავშირებით;

ბ) შეადგინოს სამუშაო გეგმა, უხელმძღვანელოს ოლიმპიადის ჩა-

ტარებას და ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად წარმოადგინოს მასალები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) 1957 წლის 1 სექტემბრისათვის დასაბეჭდად მოამზადოს ჩასატარებელი ოლიმპიადების მასალების კრებული ათი ფორმის მოცულობით. კრებულის გამოცემა გათვალისწინებულ იქნას პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის 1957 წლის საგამომცემლო გეგმით.

IV. ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

V. ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ფართოდ გააცნონ მათემატიკის მასწავლებლებს ნორჩ მათემატიკოსთა პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების დებულება და უზრუნველჰყონ ოლიმპიადაში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა.

VI. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) 1957 წლისათვის გაითვალისწინოს სასახლის ბიუჯეტში ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო თანხა.

VII. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) გამოუყოს პიონერთა სასახლეს ოლიმპიადისათვის საჭირო ქაღალდი.

VIII. დაჯილდოებულ იქნან ქ. თბილისის სკოლების ნორჩ მათემატიკოსთა IV ოლიმპიადაში გამარჯვებული 9 მოსწავლე პირველი ხარისხის პრემიით და 6 მოსწავლე მეორე ხარისხის პრემიით. (სია თან ერთვის).

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

I ხარისხის პრემიით დაჯილდოვდა:

1. ლერი გოგოლაძე (30-ე საშუალო სკოლა);
2. როსტომ ხომერიკი (47-ე საშ. სკოლა);
3. თურმან ოზიაშვილი (47-ე საშუალო სკოლა);
4. გიორგი ავალიანი (55-ე საშუალო სკოლა);
5. ლიანა სირბილაძე (51-ე საშუალო სკოლა);
6. თემურ ჭანტურია (1-ლი საშუალო სკოლა);

7. ნიკოლოზ შარია (51-ე საშუალო სკოლა);
8. მიხეილ გერშკოვიჩი (32-ე საშუალო სკოლა);
9. იური დავიდოვი (43-ე საშუალო სკოლა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე-2 ხარისხის პრემიით დაჯილდოვდა:

1. არკადი ჩაჩაშვილი (48-ე საშუალო სკოლა);
2. ვლადიმერ შახნაზაროვი (48-ე საშუალო სკოლა);
3. მიხეილ ესაკია (55-ე საშუალო სკოლა);
4. ადა კარაპეტიანი (64-ე საშუალო სკოლა);
5. ედუარდ ბეიზმანი (78-ე საშუალო სკოლა);
6. ამირან ქურთიშვილი (55-ე საშუალო სკოლა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე
1956 წ. 27 დეკემბერი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ნორჩ მათემატიკოსთა პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადის შესახებ

1. ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე და სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი 1957 წლის 12 აპრილიდან 14 მაისამდე ატარებენ ნორჩ მათემატიკოსთა პირველ რესპუბლიკურ ოლიმპიადას.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მათემატიკაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, ხელი შეუწყოს სკოლაში მათემატიკური წრეების მუშაობას, აამაღლოს მოსწავლეთა მათემატიკური კულტურა.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მე-6, 7, 8, 9, 10 და11 კლასების მოსწავლეებს, რომელთაც მათემატიკაში აქვთ ნიშანი არანაკლებ „ოთხისა".

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში იქმნება რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ხოლო ქალაქებში—ქუთაისში, სუხუმსა, ბათუმსა, სტალინირსა, ფოთსა, რუსთავსა, ჭიათურასა, გორსა, ტყიბულსა და ტყვარჩელში — ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები აღნიშნული ქალაქების განათლების განყოფილებების ბრძანებით.

5. რესპუბლიკური და ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველ მოსწავლეთათვის აწყობენ მეცნიერ მუშაკთა და გამოცდილ პედაგოგთა ლექციებს მათთვის საჭირო თემებზე და აწარმოებენ პრაქტიკულ ვარჯიშობას საოლიმპიადო ხასიათის ამოცანებზე. ამ მუშაობას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ატარებს თბილისის სკოლების მოსწავლეთათვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ხოლო ადგილობრივი კომიტეტები — მათ მიერ დანიშნულ პუნქტებში. ლექციების განრიგი ცალკე გაეგზავნება ქალაქების ყველა სკოლას თბილისში რეს-

პუბლიკური, ხოლო სხვა ქალაქებში ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტების მიერ.

6. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადის მონაწილეთათვის გამოსცემს სავარჯიშო ამოცანების კრებულს, რომელიც დაეგზავნება სკოლებს ორი თვით ადრე ოლიმპიადის ჩატარებამდე.

7. 2 მარტისათვის სკოლები საორგანიზაციო კომიტეტებს უგზავნიან იმ მოსწავლეთა სიას, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას ოლიმპიადაში.

8. ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადა ტარდება სამ ტურად, სამივე ტური დასწრებულია. პირველი ორი ტური ტარდება ადგილობრივ, ხოლო მესამე რესპუბლიკური ტური — თბილისში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

9. ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებს მიეცემათ სამი ამოცანა, დრო ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია ოთხი საათით. ყველა ტურისათვის ამოცანებს შეარჩევს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

10. ოლიმპიადის პირველი ტური ქალაქში ტარდება 14 აპრილს (კვირა დღეს), მეორე ტური 28 აპრილს (კვირა დღეს), თბილისში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ხოლო სხვა ქალაქებში — ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტების მიერ დანიშნულ პუნქტებში.

მესამე ტური ტარდება 12 მაისს (კვირა დღეს) პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

11. პირველი და მეორე ტურისათვის დალუქული პაკეტი ამოცანებითა და მაგალითებით დასახელებულ ქალაქებში მიაქვს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წევრს, რომელიც მივლინებულია ტურის ჩატარების ხელმძღვანელობისათვის.

12. ტურის ჩატარების დღეს დალუქულ პაკეტს საკლასო ოთახში, ოლიმპიადის მონაწილე მოსწავლეთა თანდასწრებით, ხსნის ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ან, მისი დავალებით, კომიტეტის წევრი.

13. წერითი მუშაობის დამთავრების შემდეგ ოლიმპიადის მონაწილეთა ნაშრომებს ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტიდან იბარებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი, რომელიც ნაშრომებს აბარებს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს.

14. წერითი ნაშრომების რეცენზირებას ახდენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

ნაშრომები ფასდება ქულებით. თითოეული ამოცანის ამოხსნისათვის იწერება 1 ან 2 ქულა იმის მიხედვით, თუ რამდენად რაციონალური გზით არის ამოხსნილი ამოცანა.

15. ოლიმპიადის პირველი ტურის მონაწილენი, რომლებიც მიიღებენ ქულების საკმაო რაოდენობას, არანაკლებ 3 ქულისა 5 შესაძლებლიდან, დაიშვებიან მეორე ტურზე, ხოლო მესამე ტურზე დაიშვებიან ის მოსწავლეები, რომლებიც მეორე ტურში 6 შესაძლებლიდან მოაგროვებენ არანაკლებ 5 ქულისა.

16. ოლიმპიადის მეორე და მესამე ტურზე დაშვებულ მოსწავლეთა სიას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი უგზავნის ადგილობრივ საორგანიზაციო კომიტეტებს პირველი და მეორე ტურის ჩატარებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

17. მეორე ტურში გამარჯვებულ ნორჩ მათემატიკოსებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი გამოიწვევს თბილისში მესამე ტურში მონაწილეობის მისაღებად.

18. ოლიმპიადაში გამარჯვებულთა სია გადაეცემა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად. ჯილდოების გადაცემა მოხდება საზეიმო ვითარებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1776

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 7 დეკემბერი

მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა დანიშვნის, გადაყვანა-დათხოვნის და ბრძანებების კანონიერებასთან შესაბამისობის საქმეში არსებულ ზოგიერთ დამახინჯებათა

შ ე ს ა ხ ე ბ

საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისა და მისი განუხრელად გატარების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე განათლების სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა სერიოზულად მოკიდეს ხელი საბჭოთა კანონების ცხოვრებაში განუხრელად გატარების საქმეს, რის შედეგადაც 1956 წელს, შედარებით წინა წლებთან, მდგომარეობა ამ მხრივ საგრძნობლად გაუმჯობესდა.

განათლების ორგანოები მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა კანონიერი უფლებების დაცვას, განათლების მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნის და სხვა სამუშაოზე გადაყვანის დროს იცავენ შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს. მუშაკების სამუშაოდან დათხოვნა უვარგისობის (შეუფერებლობის) მოტივით ძირითადად ხდება საკითხის წინასწარ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში განხილვისა და პროფკავშირის ორგანოსთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ; განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილებები და ბრძანებები კანონიერებასთან შესაბამისობის მხრივ არსებითად სწორად არის გაფორმებული, ეს დოკუმენტები გამოცემულია იურიდიული ნორმების დაცვით და სხვ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, კანონის ზუსტად დაცვისა და ბრძანებების კანონიერებასთან შესაბამისობის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს და რიგ დამახინჯებებს. განსაკუთრებით ეს

აღინიშნება განათლების სამინისტროს კადრების განყოფილების მუშაობაში.

კადრების განყოფილების ხაზით გამოცემული ბრძანებების ერთი წილი ეწინააღმდეგება შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს. მასწავლებელი ფ. ფხალაძე (ქუთაისი) ა/წლის 24 მაისის № 1373/კ ბრძანებით სამუშაოდან დათხოვნილია შეუფერებლობის მოტივით, საკითხის წინასწარ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში განხილვის გარეშე. ასევე კანონის დარღვევითაა სამუშაოდან დათხოვნილი მასწავლებელი პ. გირგვლიანი (მესტია, ა/წლის 27/VII № 1748/კ ბრძანება).

ადგილი აქვს მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა სამუშაოდან განთავისუფლებას კანონმდებლობით დაუშვებელი მოტივებით.

მაგალითად, უსწორო მოტივებით სამუშაოდან განთავისუფლებული არიან მასწავლებლები: ჟ. ბახტაძე (სამტრედია) „ღრმა მოხუცებულობის გამო"; რ. მანუჩარიანი (ბოლნისი) „როგორც საგნის არასპეციალისტი"; ს. ბზიშვილი (გორის რაიონი), „პენსიაზე გადასვლის გამო". ასევე დაშვებულია სამუშაოდან განთავისუფლების ბრძანებების არასწორი ფორმულირებანი: „სათანადო უმაღლესი განათლების უქონლობის გამო", „როგორც მექანიკოსი", „პატიმრობაში ყოფნის გამო" და სხვ.

ზემოაღნიშნული არასწორი ფორმულირებებით სამუშაოდან მუშაკების განთავისუფლება ძირითადად უნდა მომხდარიყო შეუფერებლობის (უვარგისობის) მოტივით, რისთვისაც საჭირო იყო საკითხის წინასწარ განხილვა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში.

ბევრი მუშაკი სამუშაოდან განთავისუფლებულია ისე, რომ ბრძანებებში მათი განთავისუფლების შესახებ არ არის აღნიშნული განთავისუფლების მიზეზი (მოტივი), რაც ყოვლად დაუშვებელია.

ხშირია შემთხვევა, როცა განათლების ადგილობრივ ორგანოებში და განათლების სამინისტროში განსათავისუფლებელ მუშაკებს არ აცნობენ მათ შესახებ არსებულ იმ მასალებს, რომლის საფუძველზედაც ისინი სამუშაოდან განთავისუფლებულ უნდა იქნენ, რაც იწვევს შეცდომებს და დამახინჯებებს.

სხვა სამუშაოზე გადაყვანის შემთხვევაში განათლების ადგილობრივი ორგანოები წარდგინებასთან ერთად არ ადგენენ გადასაყვანი მუშაკების წერილობით თანხმობას ან განცხადებას, ასევე არ ხდება იმ მუშაკების განცხადებების წარმოდგენა, რომლებიც ითხოვენ

სამუშაოდან განთავისუფლებას. ხაშურის რაიონის ტეზრის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ვ. ჩიტიაშვილი დისციპლინარული დასჯის წესით მუდმივ სამუშაოდ გადაყვანილ იქნა ოქტომბერის შვიდწლიან სკოლაში მისი თანხმობის გარეშე, რითაც უხეშად იქნა დარღვეული შრომის კანონმდებლობის მოთხოვნა. ვ. ჩიტიაშვილმა დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართა სასამართლოს. საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ა/წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით ჩიტიაშვილის საჩივარი სცნო საფუძვლიანად და იგი აღადგინა ტეზრის რვაწლიან სკოლაში.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული შრომის კანონმდებლობის საკითხების შესწავლისა და პროპაგანდის საქმე.

მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა დანიშვნის, გადაყვანადათხოვნის და ბრძანებების კანონიერებასთან შესაბამისობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოებს და განყოფილებებს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ა/ო განათლების განყოფილებას, ყველა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას ურ დაუშვან მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა მიმართ კანონით მინიჭებული უფლებების დარღვევა, მათი დანიშვნის, გადაყვანის, დათხოვნის, აგრეთვე ბრძანებების კანონიერებასთან შესაბამისობის საქმეში არსებული ნაკლოვანება-დამახინჯებები აღმოფხვრან უახლოეს დროში და ამ საქმეში დაამყარონ სრული წესრიგი, რისთვისაც:

ა) ზუსტად დაიცვან მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა დანიშვნის, სხვა სამუშაოზე გადაყვანის და სამუშაოდან დათხოვნის დროს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები;

ბ) არ დაუშვან მუშაკების სამუშაოდან დათხოვნა ამისათვის საჭირო საფუძვლის გარეშე და ბრძანებების ფორმულირება დათხოვნის მოტივის დაუსახელებლად;

გ) შეუფერებლობის (უვარგისობის) მოტივით დაკავებული თანამდებობიდან მუშაკების დათხოვნის დროს მტკიცედ დაიცვან შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნა და

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 20 დეკემბრის დადგენილება, რათა აღნიშნული მოტივით სამუშაოდან მუშაკების დათხოვნა არ იქნეს დაშვებული წინასწარ საკითხის შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში განხილვისა და შეთანხმების მიღწევის გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებმა მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა უვარგისობის მოტივით სამუშაოდან დათხოვნის შესახებ მასალებთან ერთად განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებაში წარმოადგინონ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის დადგენილება და ყველა ის დოკუმენტი, რითაც დასტურდება მასწავლებლის ან სხვა მუშაკის მოცემულ თანამდებობისათვის უვარგისობა;

დ) არ დაუშვან მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა მუდმივ სამუშაოდ სხვა ადგილას გადაყვანა მათი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, რაც კანონშია აღნიშნული. განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებაში მუშაკის გადაყვანის შესახებ მასალებთან ერთად წარმოადგინონ გადასაყვანი მუშაკის წერილობითი განცხადება, ასევე იმ მუშაკების განცხადება, რომლებიც ითხოვენ სამუშაოდან განთავისუფლებას.

2. მასწავლებელთა და განათლების დარგის იმ მუშაკების სამუშაოდან დათხოვნა, რომლებიც განათლების სამინისტროს ნომენკლატურაში შედიან, დაშვებულ იქნას მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამუშაოდან განთავისუფლება ხდება პირადი განცხადების საფუძველზე) გამოძახებული იქნებიან განათლების სამინისტროში და გაეცნობათ მასალები, რომლის საფუძველზედაც უნდა დათხოვნილ იქნან სამუშაოდან.

3. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს, პროფკავშირის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით, მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში აწარმოონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და ახსნა-განმარტებითი მუშაობა შრომის დაცვის თემებზე; მოაწყონ ლექციები, მოხსენებები და საუბრები შრომის კანონმდებლობის საკითხებზე.

4. ვაფრთხილებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსებს, აგრეთვე განათ-

ლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს, რომ კანონმდებლობის გატარების საქმეში მცირედი დამახინჯებებისა და თვითნებობისათვის მიღებულ იქნება მკაცრი ზომები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 21 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 1792

ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

от 30 декабря 1956 г.

о работе Ахалкалакского районного отдела просвещения и о выполнении приказа Министерства просвещения Грузинской ССР за № 1030 от 28 мая 1955 года о состоянии всеобщего обязательного и политехнического обучения в школах Ахалкалакского района

Ознакомившись с материалами обследования работы Ахалкалакского районного отдела просвещения и некоторых школ района, отмечаю, что в работе отдела просвещения и школ Ахалкалакского района имеют место серьезные недостатки.

Отдел просвещения не проводит всесторонней проверки работы школ, не обобщает и не доводит до их сведения результаты обследования. За истекший период текущего года отдел цросвещения ни в одной школе не проверил постановку учебно-воспитательной работы и даже не составил плана работы за III и IV кварталы 1956 года. Несмотря на длительную болезнь заведующего районным отделом просвещения тов. В. Вартаняна, ко дню обследования не был оформлен приказом временно исполняющий обязанностей заведующего районным отделом просвещения инспектор Г. Смоян.

Отдел просвещения не только не принял должных мер по устранению недостатков, указанных в приказе Министерства просвещения Грузинской ССР за № 1030 от 28 мая

1955 года о состоянии всеобщего обязательного обучения и об осуществлении политехнического обучения в школах Ахалкалакского района, но и даже не довел до сведения обследованных школ этот приказ.

Отделом просвещения не уделяется должное внимание делу всеобщего обязательного обучения. Из года в год не выполняется народно-хозяйственный план по контингентам учащихся. По народно-хозяйственному плану в школах района в 1956-57 учебном году должно было быть 13217 учащихся, фактически же по состоянию на 5 сентября 1956 года было 12730 учащихся, то-есть на 487 учащихся меньше чем было предусмотрено планом. Районный отдел просвещения не имеет точных сведений об отсеявшихся учащихся. По данным районного отдела просвещения в школах района отсев в текущем году составляет 88 человек, тогда как только в Гумбурдинской, Гоманской семилетних и Ахалкалакской армянской средней школах число отсеявшихся учащихся составляет 95.

Недостаточное внимание уделяется делу осуществления политехнического обучения. В течение предыдущего учебного года и за истекший период текущего учебного года этот вопрос ни разу не обсуждался на совете по народному образованию районного отдела просвещения. До сих пор из 52 средних и семилетних школ района лишь только 9 школ имеют учебные мастерские. Практические занятия в этих мастерских из-за отсутствия необходимых инструментов и рабочего материала не проводятся на должной высоте.

До сих пор 13 средних и семилетних школ района, в том числе и Ахалкалакская армянская школа, все еще не имеют земельных участков, а значительное число школ, имеющих земельные участки, не использует их по назначению, не проводит на них соответствующей учебно-практической работы.

Еще хуже обстоит дело по устройству учебных кабинетов. В районе только в пяти школах имеются учебные кабинеты физики и химии, причем в некоторых из них, как

Баралетская средняя школа, учебные кабинеты превращены в хранилища для приборов и других наглядных пособий.

Не все школы района укомплектованы квалифицированными педагогическими кадрами. Из 583 учителей V-XI классов 320 не имеют соответствующего образовательного ценза. В результате этого в некоторых школах района слабо поставлено преподавание некоторых предметов.

Не стоит на должной высоте преподавание математики и физики в некоторых школах района. Крайне слабое знание пройденного материала по геометрии проявили учащиеся VI и VII классов Чунчхинской семилетней школы. Преподаватель математики и физики этой школы Д. Натенадзе не имеет соответствующего образовательного ценза.

В подавляющем большинстве школ физика препадается вне всякой наглядности, не проводятся лабораторные и практические работы, вследствие халатного отношения учителей физики к своим обязанностям и отсутствия должного контроля за работой этих преподавателей со стороны дирекции школы, многие приборы и другие наглядные пособия пришли в непригодность (Чунчхинская, Пртенинская семилетние, Баралетская, Котелийская средние школы).

Преподавание химии и биологии также характеризуется серьезными недостатками. Эти предметы во всех обследованных школах преподаются вне всякой наглядности.

В Пртенинской, Чунчхинской и Мартунинской семилетних школах не имеются реактивы и препараты для проведения даже простейших опытов. В Мартунинской 7-летней школе преподаватель В. Осидзе на уроке крайне непонятно объяснил урок „Закон постоянства состава". Учащиеся не имеют понятие о химической посуде. Из-за отсутствия необходимых приборов и препаратов, не всегда проводятся демонстрационные опыты в Баралетской и Котелийской средних школах. В XI классе Котелийской средней школы преподавание химии (преп. Квинчиев), несмотря на имеющиеся возможности проводить нужные опыты, носит словесный характер. Никакая внеклассная работа по химии в школе не проводится. Аналогичное положение имеет место

и в VIII, IX классах (преп. К. Оганджанян). Подавляющее большинство учащихся XI класса Котелийской средней школы не знает составления равенства ионных реакций, записи молекулярных формул. Так например, молекулярную формулу серной кислоты учащиеся пишут как HSO_4, затрудняются в составлении структурных формул, слабо разбираются в применении удобрений.

Низка академическая успеваемость учащихся. Так, по результатам 1 четверти текущего учебного года в Мартунинской семилетней школе из 102 учащихся успевали только 62 (60,8%) в Баралетской средней школе из 440 учащихся—244 (55.4%), в Котелийской средней школе из 154 учащегося—104 (67,5%), в Ахалкалакской армянской средней школе из 1218 учащихся—только 655 (50,3%).

В целях изжития вышеуказанных недостатков,

ПРИКАЗЫВАЮ:

1. Ахалкалакскому районному отделу просвещения:

1) решительно улучшить руководство и контроль за работой школ, оказывать им действенную помощь, систематически изучать учебно-воспитательную работу школ и результаты обследования своевременно доводить до сведения школ;

2) в кратчайший срок наладить точный учет детей школьного возраста и принять все меры для возвращения в школу всех детей и подростков, ранее отсеявшихся из школ района, и для сохранения существующего контингента;

3) принять действенные меры для осуществления политехнического обучения и трудового воспитания учащихся, для чего:

а) периодически изучать и обсуждать на Совете по народному образованию вопросы состояния осуществления политехнического обучения, проведения практических занятий и практикумов и провести мероприятия по созданию условий для успешного преподавания новых предметов;

б) принять все меры для создания учебных кабинетов физики, химии и биологии во всех средних и семилетних школах;

в) улучшить работу на учебно-опытных участках; добиться того, чтобы все школы района получили земельный участок;

4) особое внимание уделить делу укомплектования школ преподавателями соответствующей специальности и квалификации, не допускать случаев преподавания учебных дисциплин неспециалистами.

II. За слабую постановку учебно-воспитательной работы преподавателю математики Д. Натенадзе (Чунчхинская семилетняя школа), преподавателю химии В. Осидзе (Мартунинская семилетняя школа)—указать.

III. Временно исполняющему обязанности заведующего Ахалкалакским районным отделом просвещения тов. Г. Смояну обсудить настоящий приказ на Совете по народному образованию и наметить конкретные мероприятия по изжитию отмеченных недостатков.

Министр просвещения
Грузинской ССР **Г. Н. Джибладзе**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1793

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ მოლოტოვის სახელობის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესდა.

სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების სისტემატური ყურადღების შედეგად შემცირდა სკოლების მუშაობის ის ნაკლოვანებები, რაც ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღებას მოჰყვა.

თანდათანობით განმტკიცდა მეგობრობა მოსწავლე გოგონებსა და ვაჟებს შორის, გაიზარდა მისწრაფება ამხანაგური დახმარებისადმი. მოსწავლეები მოწესრიგებულნი, უკეთესად მომზადებულნი მოდიან სკოლებში, სისტემატურად ატარებენ სახელმძღვანელოებს, სასწავლო ნივთებს, დღიურებს, მოსწავლის ბილეთებს, შემცირდა უმიზეზოდ გაცდენა-დაგვიანების შემთხვევები. ზოგიერთი სკოლის დირექტორი ორგანიზებულად ატარებს ბავშვებს მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების სახელმწიფო თეატრებში და უზრუნველყოფს იქ მოსწავლეთა წესრიგს (30-ე და 36-ე საშუალო სკოლები).

მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცების საქმეში სკოლას აქტიურად ეხმარებიან პიონერთა და კომკავშირის ორგანიზაციები (31-ქ და 38-ე საშუალო სკოლები).

მიუხედავად ამისა, მოლოტოვის სახელობის რაიონის სკოლებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი არა დგას თავისი მოწოდების სიმაღლეზე, დაბალია მათი გაკვეთილების პედაგოგიური ღირებულება, არ შესწევთ უნარი ჩაატარონ საინტერესო და მიმზიდველი გაკვეთილები.

30-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი პ. მორჩილაძე დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს, ვერ იჭერს კლასს და ვერ სარგებლობს ბავშვებში სათანადო ავტორიტეტით. ასევე ეროვნული ბიბლიოთეკა დონეზე ატარებს გაკვეთილებს 31-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ი. უშვერიძე.

31-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გ. რაჭველიშვილმა მანქანათმცოდნეობის გაკვეთილზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მასწავლებელ გ. ფალავანდიშვილს.

სკოლებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენას (23-ე, 32-ე, 37-ე და 38-ე საშუალო სკოლები).

38-ე საშუალო სკოლის VII² კლასში დღემდე აღრიცხულია გაკვეთილებიდან გაპარვის 10 შემთხვევა, მე-11 კლასში კი — 11 შემთხვევა.

24 ოქტომბერს თვითნებურად მიატოვა ანატომიის გაკვეთილი 31-ე საშუალო სკოლის მერვე კლასის 10 მოსწავლემ.

ა/წლის 1 ნოემბერს გაკვეთილზე დაიგვიანა 32-ე საშუალო სკოლის 55 მოსწავლემ და 37-ე საშუალო სკოლის 25 მოსწავლემ.

სკოლებში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის მოწესრიგებული მოსწავლეთა დღიურების წარმოებისა და მოსწავლის ბილეთების ტარების საქმე (23-ე და 38-ე საშუალო სკოლები). 18 ოქტომბერს მოსწავლის ბილეთი არ აღმოაჩნდა 23-ე საშუალო სკოლის VII კლასში — 23 მოსწავლეს, VIII კლასში — 17 მოსწავლეს, 32-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასში — 14 მოსწავლეს და მე-11 კლასში არც ერთ მოსწავლეს.

ზოგიერთი მშობელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავისი შვილის აღზრდის საქმეს.

33-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ა. არუთინიანი სისტემატურად აცდენს გაკვეთილებს. მისი მშობელი, რომელიც 34-ე საშუალო სკოლის ბუხჰალტრად მუშაობს, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ მიიღოს საჭირო ზომები შვილის გამოსასწორებლად, ადანაშაულებს სკოლის ხელმძღვანელობას.

31-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე კ. ბილიხოძე არ სწავლობს, გაკვეთილებზე არღვევს წესრიგს, მშობლები არ მიდიან სკოლაში და არ კითხულობენ შვილის ამბავს.

ასევე იქცევა იმავე სკოლის X კლასის მოსწავლე შუქური კობერიძის მამა, პარტიის წევრი ერმილე კობერიძე, რომელმაც მიატოვა ოჯახი და სრულიად არ ზრუნავს შვილის აღზრდისათვის. არანორ-

მალურმა ოჯახურმა მდგომარეობამ ბავშვის წარმატებასა და ყოფაქცევაზე ცხადია, ცუდი გავლენა მოახდინა.

ჯერ კიდევ შეინიშნება საზოგადოებრივი შეკრებების ბიბლიოთეკებში მოსწავლეთა მიერ წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

1956 წლის 25 დეკემბრამდე მილიციის ორგანოებს აღრიცხული აქვთ მოლოტოვის რაიონის სკოლების მოსწავლეთა მიერ წესრიგის დარღვევის 148 შემთხვევა, 32-ე სკოლიდან — 27 შემთხვევა, 37-ე სკოლიდან 15 შემთხვევა 36-ე სკოლიდან—11, 31-ე სკოლიდან—24 და ა. შ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მოლოტოვის სახელობის რაიონის სკოლების დირექტორებმა:

ა) მტკიცე კონტროლი დააწესონ დღიურების წარმოებისა და მოსწავლის ბილეთების ტარების საქმეზე;

ბ) მტკიცედ დაიცვან ერთიანი მომთხოვნელობა სკოლასა და სკოლის გარეთ მოსწავლეთა ყოფაქცევის წესების შესრულების საქმეში. ქცევის წესების დამრღვევთა მიმართ დროულად გაატარონ დასჯის ღონისძიებანი;

გ) ბავშვებთან სისტემატური მუშაობის ჩატარებით მინიმუმამდე დაიყვანონ არასაპატიო მიზეზით მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენა და აღმოფხვრან გაკვეთილებიდან გაპარვისა და დაგვიანების შემთხვევები;

დ) გააძლიერონ მეთოდური ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, იზრუნონ ყოველი გაკვეთილის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის;

ე) უზრუნველყონ მასწავლებელთა და მშობელთა სისტემატური მორიგეობა სკოლებში;

ვ) ქმედითი დახმარება გაუწიონ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს წარჩინებული სწავლისა და სანიმუშო ყოფაქცევის დანერგვის საქმეში მათი ავანგარდული როლის უზრუნველსაყოფად;

გ) მჭიდრო კავშირი დაამყარონ მოსწავლეთა მშობლებთან, ჩაატარონ მათთან საუბრები; სკოლისა და ოჯახის ერთიანი ზეგავლენით უზრუნველჰყონ მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის დანერგვა; ამხილონ ის მშობლები, რომლებიც უპასუხისმგებლობას იჩენენ შვილების აღზრდის საქმეში და დახმარების ნაცვლად ხელს უშლიან სკოლას;

თ) ორგანიზებულად ატარონ მოსწავლეები თეატრებსა და კინო-

ებში, ჩაატარონ მათთან წინასწარი საუბრები საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სანაზაობათა დაწესებულებებში წესრიგის დაცვისა და ზრდილობიანი ყოფაქცევის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ) მოსწავლეთა მიერ ყოფაქცევის დარღვევის ყოველი ფაქტი გახადონ ფართო მსჯელობის საგნად და სათანადო ღონისძიებების გატარებით შესძლონ მსგავსი შემთხვევების ლიკვიდაცია;

ლ) მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანებით (№ 195, 1956 წლის 2 მარტი) „სკოლებში დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

2. მოლოტოვის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ვ. ბიწაძე):

ა) სისტემატური კონტროლი დააწესოს სკოლების სასწავლო აღმზრდელობითს მუშაობაზე; დროგამოშვებით შეამოწმოს მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოების, დღიურებისა და მოსწავლის ბილეთების ტარების საქმე;

ბ) პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე პერიოდულად დააყენოს საკითხი იმ მშობელთა შესახებ, რომლებიც უპასუხისმგებლობას იჩენენ თავიანთი შვილების აღზრდისადმი;

გ) შეისწავლოს მოწინავე კლასის ხელმძღვანელების და მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილება მათი განზოგადების მიზნით;

დ) სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე მოისმინოს დისციპლინის შესახებ სკოლების დირექტორების მოხსენებები და დასახოს ქმედითი ღონისძიებანი დისციპლინის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ე) შეისწავლოს 30-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლის პ. მორჩილაძის მუშაობა და შედეგების შესახებ მოახსენოს განათლების სამინისტროს.

ვ). სკოლების სამმართველომ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქარველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 28 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი **გ. ჯიგლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1794

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 30 დეკემბერი

ქ. გორისა და გორის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქ. გორისა და გორის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ შესწავლილი სკოლების უმრავლესობა დაკომპლექტებულია მასწავლებლებით, რომელთაც აქვთ სპეციალური ფიზკულტურული განათლება.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქ. გორის 1 და IV საშუალო სკოლების ფიზიკური კულტურის მასწავლებლები: ო. ჯაფარიძე, ი. ქუმელაშვილი, ფ. მესროფაშვილი. კარგად მუშაობს ქ. გორის ბავშვთა სპორტული სკოლა (დირექტორი კ. ხუციშვილი, მწვრთნელები გ. კოშაძე და ვ. სირკო). ამ სკოლის ნაკრები კოლექტივები წარმატებით გამოდიან მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე;

მაგრამ ქ. გორისა და გორის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის დარგში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა და სპორტული მუშაობა ქ. გორის მე-2, მე-5 და გორის რაიონის კარალეთის, ტყვიავის, ტირძნისის და ხიდისთავის საშუალო სკოლებში. ფიზიკური კულტურის მასწავლებლები: ს. აკოფოვი და ა. ბანდალოვი (ქ. გორის მე-5 საშუალო სკოლა), ვ. ნიკოლაიშვილი (ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლა), შ. ავაზნელი (ქ. გორის I საშ. სკოლა), ი. ბაქრაძე (კარალეთის საშუალო სკოლა), მ. დემუროვი და ნ. ხადური (ტყვიავის საშუალო სკოლა), მ. მირზაშვილი (ტირძნისის საშუალო სკოლა) საქმისადმი

უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო გაკვეთილებს ატარებენ მეტად დაბალ პედაგოგიურ დონეზე. აღნიშნულ სკოლებში არ ტარდება მეცადინეობამდე ტანვარჯიში. საპროგრამო მასალას ავლენენ არასრული მოცულობით. სასწავლო ნორმატივების და მშთ კომპლექსის ჩასაბარებელი ნორმების სრული უცოდინარობა და სუსტი ფიზიკური მომზადება გამოამჟღავნეს ამ სკოლების IX-X კლ. მოსწავლეებმა. მასწავლებლები გაკვეთილებზე ცხადდებიან მოუმზადებლად, დადგენილი სასპორტო ფორმის გარეშე და გაკვეთილებზე ფორმით გამოცხადებას ისინი არც მოსწავლეებისაგან მოითხოვენ. ადგილი აქვს ფიზიკური კულტურის გაკვეთილებიდან მოსწავლეთა გაპარვის და მასობრივად განთავისუფლების შემთხვევებს. დარღვეულია უფროსი კლასების მოსწავლე ქალ-ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლების პრინციპი (ტყვიავის საშუალო სკოლა). სკოლების დირექტორები: ს. ჩუტკერაშვილი (ქ. გორის V საშუალო სკოლა), ე. სამადელაშვილი, ქ. გორის II საშუალო სკოლა), გ. ბაინდურაშვილი (კარალეთის საშუალო სკოლა), ვ. ჩიხლაძე (ტყვიავის საშუალო სკოლა) და ა. შალამოვი (ტირძნისის საშუალო სკოლა) არ ღებულობენ ზომებს სკოლებში სამედიცინო ადგილების გამოსაყოფად, სასპორტო ინვენტარითა და მოწყობილობით უზრუნველყოფისათვის წლების მანძილზე არ გამოჰყოფენ სახსრებს. არ წარმოებს კლასგარეშე სპორტული მუშაობა, სკოლებთან დღემდე ჩამოყალიბებული არ არის ფიზიკური კულტურის კოლექტივები, ხოლო ხშირ შემთხვევაში ასეთი კოლექტივები ფორმალურად არსებობენ. არასაკმარისი ყურადღება ექცევა მოსწავლეების მიერ ნორმების ჩაბარებას „იმშთ და მშთ“ I საფეხურის ნიშნებზე და მათ მომზადებას სპორტულ თანრიგზე. ამ სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ ბრის განხილული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 24 იანვრის ბრძანება № 79-41 მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება განათლების განყოფილებების მუშაობა (გამგეები ი. ჯამბრიშვილი და ა. ჩხეიძე). ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სპორტული ბაზების (სამეცადინო ადგილების) კეთილმოწყობას, სკოლებისათვის სასწავლო-იარაღების შეძენის საქმეს; არ ამოწმებენ სკოლის მუშაობას ამ დარგში, არ ატარებენ ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა მეთოდურ მეცადინეობას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. ქ. გორისა და გორის რაიონის განათლების განყოფილებებმა (ი. ჯამბრიშვილი, ა. ჩხეიძე):

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლების სპორტული ბაზების განსამტკიცებლად, ქმედითი დახმარება გაუწიონ სკოლებს სასპორტო დარბაზების (ოთახების) და მოედნების სასწავლო იარაღებით შევსების საქმეში;

ბ) მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიონ სკოლების დირექტორებსა და ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს;

გ) სასწრაფოდ მოაწესრიგონ ქ. გორისა და გორის რაიონის სკოლების ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა გაერთიანებული მეთოდური მეცადინეობის საქმე;

დ) ქ. გორის მე-2 საშუალო სკოლის სარდაფის სპორტულ ოთახად გადაკეთებისა, სოფ. ტყვიავის საშუალო სკოლასთან არსებული სპორტული დარბაზის დამთავრებისა და ხიდისთავის საშუალო სკოლის სარდაფის სპორტულ ოთახად გადაკეთების მიზნით შეადგინონ ხარჯთაღრიცხვა საჭირო მასალების ამოკრეფით და დასამტკიცებლად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს;

ე) ერთი თვის განმავლობაში გააცნონ სკოლების დირექტორებს მოსწავლეთა ფიზიკური კულტურის პროგრამა, ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“, ფიზიკური კულტურის კოლექტივის დებულება და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1956 წლის 24 იანვრის ბრძანება № 79-41.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) 1957 წლის 1-ლ თებერვლამდე საშუალო სკოლებთან მოაწყონ და სრულ წესრიგში მოიყვანონ კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, სარბენი ბილიკები, სახტომი ორმოები და სატყორცნი რკალები. გამოყონ სამეცადინო ადგილი (დარბაზი, სასპორტო ოთახი) და უზრუნველყონ ისინი საჭირო სპორტული იარაღებით;

ბ) ქმედითი დახმარება გაუწიონ ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს, რეგულარულად დაესწრონ მეცადინეობას და განიხილონ

საკითხი სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ფიზიკური კულტურის მასწავლებლებმა:

ა) ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გულდასმით მოამზადონ ყოველი გაკვეთილი (ვარჯიშების სათანადო შერჩევა, სწავლების სწორი მეთოდების გამოყენება, მოსწავლეთა ასაკის, სქესის და ფიზიკური მომზადების გათვალისწინება);

ბ) უზრუნველყონ სამეცადინო ადგილების სანიმუშოდ მოწყობა მიაღწიონ ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე მოსწავლეთა გამოცხადებას სასპორტო ფორმებში;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კლასგარეშე სპორტულ მუშაობას, ჩამოაყალიბონ სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივები და სასწავლო და კლასგარეშე სპორტული მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებით მიაღწიონ VII კლასებში იმშთ ნიშანზე, ხოლო X კლასებში მშთ-ს საფეხურზე მოსწავლეთა 100% მომზადებას.

4. ფიზიკური კულტურის სწავლებისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის მიეთითოთ: ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს შ. ავაზნელს (ქ. გორის I საშუალო სკოლა), ვ. ნიკოლაიშვილს (ქ. გორის III საშუალო სკოლა), ს. აკოფოვს (ქ. გორის V საშუალო სკოლა), ი. ბაქრაძეს (კარალეთის საშუალო სკოლა), ბ. დემუროვსა და ნ. ხადურს (ტყვიავის საშუალო სკოლა), მ. მირზაშვილს (ტირძნისის საშუალო სკოლა).

5. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოთ: საშუალო სკოლის დირექტორებს ს. ჩუტკერაშვილს (ქ. გორის V საშუალო სკოლა), ვ. სამადელაშვილს (ქ. გორის II საშუალო სკოლა), გ. ბაინდურაშვილის (კარალეთის საშუალო სკოლა), ვ. ჩიხლაძეს (ტყვიავის საუალო სკოლა), ა. შალამოვს (ტირძნისის საშუალო სკოლა) და დ. თათრიშვილს (ხიდისთავის საშუალო სკოლა).

6. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას სკოლის დირექტორთა თათბირებზე და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე.

7. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 28 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი გ. ჯიბლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ბრძანება № 1679—კოჯრის სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ 3
2. ბრძანება № 1680—ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლის დირექტორ ა. ნ. მენთეშაშვილის შესახებ 9
3. ბრძანება № 1693—რუსულ დაწყებით, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ 11
4. Приказ № 1693—О введении обязательного изучения грузинского языка в русских начальных, семилетних и средних школах Грузинской ССР 12
6. ბრძანება № 1695—1956 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს სსრ სკოლებისა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებების მონაწილეობის შედეგებისა და 1957 წლის გამოფენაში მონაწილეობის ღონისძიებათა შესახებ . . . 13
6. დებულება დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების ბიბლიოთეკების შესახებ 17
7. ბრძანება № 1750—საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ 22
8. ბრძანება № 1773—თბილისის სკოლების ნორჩ მათემატიკოსთა IV ოლიმპიადის შედეგებისა და პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ 28
9. დებულება ნორჩ მათემატიკოსთა პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადის შესახებ 32
10. ბრძანება № 1776—მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა დანიშვნის, გადაყვანა—დათხოვნის და ბრძანებების კანონიერებასთან შესაბამისობის საქმეში არსებულ ზოგიერთ დამახინჯებათა შესახებ 35
11. Приказ № 1792—О работе Ахалкалакского районного отдела просвещения и о виполнении приказа Министерства просвещения Грузинской ССР за № 1030 от 28 мая 1955 года о состоянии всеобщего обязательного и политехнического обучения в школах ахалкалкского района . . 40
12. ბრძანება № 1793—ქ. თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის მდგომარეობის შესახებ 45
13. ბრძანება № 1794—ქ. გორის და გორის რაიონის სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 49

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი ბ. გუნიავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/II-57 წ., ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,5,
სააღრიცხვო—2,35, საავტორო—2,45.

ტირაჟი 5.000 შეკვეთა № 60

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და
პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 3.
ქ. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

[1]
ᲣᲤᲐᲡᲝ
Ч 12/56
ეროვნული
ბიბლიოთეკა